ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 62

„3" აპრილი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქუჩა №16-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.015.153; №01.11.12.015.146; №01.11.12.015.147) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქუჩა №16-ში (საკადასტრო კოდები: №01.11.12.015.153; №01.11.12.015.146; №01.11.12.015.147) მდებარე, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 11 მარტის №20.316.361 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებული პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

## ქ.თბილისი, მარატ ნოზაძის №16

| N | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | საკადასტრო კოდი | ფართი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სოფიკო ჯღარკავა | 29001034959 | 01.11.12.015.153.01.500 | 70.91 კვ.მ |
| 2 | მაგული გელაშვილი | 56001004489 | 01.11.12.015.153.02.502 | 68.92 კვ.მ |
| 3 | ზვიად ჭიჭალუა | 29001033352 | 01.11.12.015.153.03.500 | 19.07 კვ.მ |
| 4 | ვარდო ჯახუა | 29001031324 | 01.11.12.015.153.04.500<br>01.11.12.015.153.04.503<br>01.11.12.015.153.06.502 | 23.59 კვ.მ<br>23.59 კვ.მ<br>8.40 კვ.მ |
| 5 | მარეხი მდინარაძე | 56001019879 | 01.11.12.015.153.04.501 | 7.20 კვ.მ |
| 6 | თეონა დრიაშვილი | 16001027954 | 01.11.12.015.146.01.517 | 95.16 კვ.მ |
| 7 | თამილა სილაგაძე | 01001074173 | 01.11.12.015.146.01.516 | 98.58 კვ.მ |
| 8 | გია სილაგაძე | 49001014950 | 01.11.12.015.146.01.515 | 114.85 კვ.მ |
| 9 | მზიური ნაროუშვილი | 29001022114 | 01.11.12.015.146.01.514 | 83.53 კვ.მ |
| 10 | თეა ფაცურია | 19001004748 | 01.11.12.015.147.01.060 | 48.10 კვ მ |